 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10/09/2024

MES 5 24 0001097728

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-16, მე-17, 37-ე, 38-ე მუხლებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 06 სექტემბრის მე-2 საოქმო დადგენილების, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნის, ასისტენტ პროფესორის, შორენა წიგნაძის სამსახურებრივი ბარათის (06/09/2024წ; N1078611) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კვოტით აკადემიური საბჭოს წევრების ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები;
2.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 03 ოქტომბერს (10:00 სთ-დან-14:00 სთ-მდე):

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 ადგილი
ბ) განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 ადგილი

3. კანდიდატთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2024 წლის 16 სექტემბრიდან და გაგრძელდეს 2024 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით;

4.კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
5. კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ცნობა ფაკულტეტიდან დაკავებული თანამდებობის შესახებ;
4. ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“.

6. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო იაკაშვილი - იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი
2. შორენა ძამუკაშვილი - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
3. მარიამი ჩიდრაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს და უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
8.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების სათანადო წესით გაცნობა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის და ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41)

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა